საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 2227/1
13/02/2023

2227-1-2-202302131739

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსს
ბატონ კახა ცერცვაძეს

**ბატონო კახა,**

გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას" (შემდგომში - კომპანია) სიღნაღის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილი აქვს **"ქალაქ სიღნაღისა და წნორის წყალარინების სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის"** პროექტის განხორციელება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, წყალარინების ქსელის განთავსება გათვალისწინებულია სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სატყეო ფონდში და სამშენებლო სამუშაოების წარმოებისთვის, საჭირო ხდება სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების მოპოვების პროცედურების განხორციელება.

დანართის სახით წარმოგიდგენთ, აღნიშნული ტერიტორიების საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზებს, ელექტრონულ ფაილებს და გთხოვთ, „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილების შესაბამისად, მშენებლობა/ფუნქციონირებისთვის, შემდგომში უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით, 674 კვ.მ, 696 კვ.მ და 1438 კვ.მ მიწის ფართობზე, მოგვანიჭოთ სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლება 30 (ოცდაათი) წლამდე ვადით, ხე-ტყის ჭრის უფლების გარეშე.

აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ფართობზე არ იგეგმება ხე-მცენარეების ჭრა, ფართობზე არ გვხვდება „წითელი ნუსხით" დაცული მერქნიანი სახეობები, ხოლო ფერდობის დაქანება არ აღემატება 25 გრადუსს.

***დანართი:*** 1) საკადასტრო აზომვითი ნახაზები.

შ პ ს L.L.C.
საქართველო, თბილისი 0186
ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №5
ტელ: (032) 2 91 90 60
ს/კ: 412670097
e-mail: info@water.gov.ge
www.water.gov.ge
5, Anna Politkovskaya St.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (032) 2 91 90 60

პატივისცემით,

აკაკი მშვიდობაძე

დირექტორის მოადგილე